1937.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის
მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1937 წ. ოქტომბრის 15. № 15 თბილისი.

F1951

შინაარსი

სახელმწიფო წყობილება

106. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სათბობი მასალის საქმეთა კომიტეტის ლიკვიდაციის შესახებ.

მიწის, წყლის და ტყის მეურნეობა. სოფლის მეურნეობა

107. სასოფლო-სამეურნეო მნიშვნელობის მიწების იჯარით გაცემის აკრძალვის შესახებ.

ვაჭრობა. მომარაგება

108. 1937 წლის მოსავლის თამბაქოს საკოლმეურნეო და ინდივიდუალურ-გლეხური ვაჭრობის აკრძალვის შესახებ.

109. 1937 წლის მოსავლის მწვანე გერანის დამზადების გეგმის შესახებ.

ტრანსპორტი

110. სატვირთო ავტომანქანების კაპიტალური რემონტის წარმოების წესების შესახებ.

სახელმწიფო დაზღვევა

111. საქართველოს სსრ სოფლებსა და ქალაქებში 1935 წელს სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის დადგენილების შეცვლის შესახებ.

ჯანმრთელობის დაცვა

112. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატთან საამშენებლო სამმართველოს ჩამოყალიბების შესახებ.

სასამართლო წყობილება და სამართლის წარმოება

113. „მოქალაქეთა პირადი უფლებების და ინტერესების შესახებ დოკუმენტების ასლების შემოწმების მოწესრიგების თაობაზე" გამოცემული სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს 1937 წლის 3 ივნისის დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

БИБЛИОТЕКА Академии Наук

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელმწიფო წყობილება

106. დადგენილება ს.კ.ს

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სათბობი მასალის საქმეთა კომიტეტის ლიკვიდაციის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ლიკვიდირებულ იქნას საქ. სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული სათბობი მასალის საქმეთა კომიტეტი (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. № 24, მუხ. 243) და მისი ფუნქციები საქ. სსრ-ის სათბობი მასალის დაგეგმვის დარგში გადაეცეს საქ. სსრ საგეგმო კომისიას.

2. სათბობი მასალის საქმეთა კომიტეტის საშტატო 2 ერთეული გადაეცეს საქ. სსრ საგეგმო კომისიას მასთან სათბობი მასალის ჯგუფის ჩამოსაყალიბებლად.

3. მიენდოს საგეგმო კომისიას ერთი დეკადის ვადაში წარმოუდგინოს სახკომსაბჭოს ღონისძიებანი საქართველოს რესპუბლიკის სათბობი მასალით მომარაგების დაგეგმვისა და მოწესრიგების შესახებ.

4. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. ოქტომბრის 22-ის დადგენილება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან სათბობი მასალის საქმეთა კომიტეტის მოწყობის შესახებ (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. № 24, მუხ. 243) გაუქმებულ იქნას.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე ვ. ბაქრაძე.
საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი ვ. ბუჯიაშვილი.

1937 წ. სექტემბრის 1.
თბილისი.

მიწის, წყლის, და ტყის მეურნეობა. სოფლის მეურნეობა

107. დადგენილება ცაკ. და ს.კ.ს.

სასოფლო-სამეურნეო მნიშვნელობის მიწების იჯარით გაცემის აკრძალვის შესახებ.

„სასოფლო-სამეურნეო მნიშვნელობის მიწების იჯარით გაცემის აკრძალვის შესახებ“ სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს 1937 წლის 4 ივნისის დადგენილების (სსრკ კან. კრ. 1937 წ. № 37, მუხ. 150) შესაბამისად, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქ. სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. აიკრძალოს სასოფლო-სამეურნეო მნიშვნელობის მქონე მიწების იჯარით გაცემა, როგორც ქალაქის მიჯნის გარეთ, ისე მის ფარგლებში.

2. სასოფლო-სამეურნეო მნიშვნელობის თავისუფალი მიწები სამიწათმოქმედო ორგანოებისა და ქალაქის საბჭოების მიერ მიეცემათ დაწესებულებებს, ორგანიზაციებს და ცალკე მოქალაქეებს მხოლოდ უფასო სარგებლობისათვის.

აღნიშნული მიწებით სარგებლობის წესებს ადგენს გადამცემი ორგანოები.

3. აეკრძალოს სახელმწიფო დაწესებულებებს და საწარმოებს, (საგზაო მიმოსვლის სახალხო კომისარიატის, წყალთა მეურნეობის სახალხო კომისარიატის, თავდაცვის სახალხო კომისარიატის და სხვა სისტემის) რომელთაც მიცემული აქვთ მიწები სპეციალური მიზნებისათვის მათ მიერ გამოუყენებელ სასოფლო-სამეურნეო მნიშვნელობის მიწების იჯარით გაცემა. ამ მიწების გადაცემა სასოფლო-სამეურნეო გამოყენებისათვის სხვა დაწესებულებებზე და ორგანიზაციებზე, აგრეთვე ცალკე მოქალაქეებზე შეიძლება მხოლოდ უფასოდ სათანადო სამიწათმოქმედო ორგანოებთან ან ქალაქის საბჭოებთან შეთანხმებით.

4. საიჯარო გადასახადის აკრეფა, როგორი ფორმითაც არ უნდა იყოს, სასოფლო-სამეურნეო გამოყენებისათვის ადრე გადაცემულ მიწაზე, ამ დადგენილების გამოცემასთან ერთად შეწყვეტილ იქნას.

5. ამა დადგენილების სამოქმედოდ შემოღების დღიდან გაუქმდეს ყველა ადრე გამოცემული სრ. საქ. ცაკისა და საქ. სსრ ს.კ.ს-ოს დადგენილებები და განკარგულებები ქალაქისა და დაბების ფარგლებში მიწით სარგებლობაზე საგარეუბნო მეურნეობათა საიჯარო გადასახადის შესახებ.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივნის მ. ა. **გ. გოჩაშვილი.**

1937 წ. სექტემბრის 11.
თბილისი.

ვაჭრობა. მუმარაბეგა

108. დადგენილება ს.კ.ს.

1937 წლის მოსავლის თამბაქოს საკოლმეურნეო და ინდივიდუალურ-გლეხური ვაჭრობის აკრძალვის შესახებ.

1937 წლის თამბაქოს აღების დაწყებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. აიკრძალოს, როგორც დაჭრილი, ისე ფურცლოვანი თამბაქოს საკოლმეურნეო და ინდივიდუალურ-გლეხური ვაჭრობა საქართველოს სსრ მთელ ტერიტორიაზე.

2. დადასტურდეს, რომ თამბაქოს საკოლმეურნეო და ინდივიდუალურ-გლეხური ვაჭრობა ნებადართული იქნება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს სპეციალური დადგენილებით მხოლოდ მას შემდეგ, რაც შესრულდება 1937 წლის მოსავლის თამბაქოს დამზადების რესპუბლიკური გეგმა.

3. ამა დადგენილების გამოცემასთან დაკავშირებით, გაუქმდეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1937 წლის 4 ივნისის დადგენილება № 645.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ვ. ბუჯიაშვილი.**

1937 წ. სექტემბრის 1.
თბილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 202 №-ში 1937 წ. სექტემბრის 4.

---

109. დადგენილება ს. კ. ს.

1937 წლის მოსავლის მწვანე გერანის დამზადების გეგმის შესახებ.

1937 წლის მოსავლის მწვანე გერანის კოლმეურნეობებში ფაქტიურად დაკონტრაქტებულ პროდუქციის და საბჭოთა მეურნეობებისათვის დამტკიცებულ საწარმოო საფინანსო გეგმით პროდუქციის ჩაბარების შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს 1937 წლის მოსავლის მწვანე გერანის, რომელიც მიდის გადამუშავებაზე, დამზადების წლიური გეგმა 14.500 ტონის რაოდენობით, მათ რიცხვში:

საბჭოთა მეურნეობებში . . . . . 9.500 ტონა

კოლმეურნეობებში . . . . . 5.000 „

ავტონომიურ რესპუბლიკების, რაიონებისა და სექტორების მიხედვით გეგმის შემდეგი განაწილებით:

ეროვნული ბიბლიოთეკა

	საბჭ. მეურნ.	კოლ. მეურნ.	ს უ ლ
აფხაზეთის ასსრ	8.400	4.400	12.800
აჭარის ასსრ	750	—	750
ცხაკაიას რაიონი	350	600	950
ს უ ლ	9.500	5.000	14.500

2. დაევალოს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულს საქ. სსრ-ში დაამტკიცოს და დაუშვას გერანის დამზადების კვარტალური გეგმები.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ვ. ბუჯიაშვილი.**

1937 წ. სექტემბრის 1.
თბილისი.

ტ რ ა ნ ს პ ო რ ტ ი

110. დადგენილება ს. კ. ს.

სატვირთო ავტომანქანების კაპიტალური რემონტის წარმოების წესების შესახებ.

აღნიშნავს რა, რომ მთელი რიგი ორგანიზაციები და დაწესებულებები აწარმოებენ ავტომანქანების რემონტს არა სახელმწიფო ავტო-სარემონტო ქარხანაში, არამედ კუსტარული წესით, რაც მნიშვნელოვნად აქვეითებს რემონტის ხარისხს და იწვევს სახელმწიფო სახსრების დიდ გადახარჯვას, საქ. სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. აეკრძალოს ყველა ორგანიზაციებს და დაწესებულებებს სატვირთო ავტომანქანების „გაზ“ და „ზის“ კაპიტალური რემონტის წარმოება ავტოსარემონტო ქარხნის გარეშე.

2. დაევალოს საქ. სსრ ყველა დაწესებულების და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს სატვირთო ავტომანქანების „გაზ“ და „ზის“ კაპიტალური რემონტი აწარმოონ მხოლოდ თბილისის ავტოსარემონტო ქარხანაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. წინადადება მიეცეს თბილისის ავტო-სარემონტო ქარხნის დირექტორს დაუყონებლივ ჩაატაროს საჭირო ღონისძიებანი ავტო-მანქანების რემონტის ვადის შემცირებისა და მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად.

4. დაევალოს შინსახკომის მუშათა და გლეხთა მილიციის სამმართველოს უფროსს სისტემატურად ადევნოს თვალყური ამ დადგენილების შესრულებას და დარღვევის ყველა შემთხვევები აცნობოს საქ. სსრ პროკურატურას.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **ვ. ბუჯიაშვილი.**

1937 წ. სექტემბრის 1.
თბილისი.

სახელმწიფო დაზღვევა

111. დადგენილება ს. კ. ს.

საქართველოს სსრ სოფლებსა და ქალაქებში 1935 წელს სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის დადგენილების შეცვლის შესახებ.

„სოფლებსა და ქალაქებში სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის შესახებ“ სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. 19 ივლისის დადგენილების შესაცვლელად გამოცემული სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1937 წ. 4 აგვისტოს დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

„საქართველოს სსრ სოფლებსა და ქალაქებში 1935 წელს სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის თაობაზე გამოცემულ 1934 წ. 4 აგვისტოს დადგენილებაში (საქ. სსრ კან. კრ. 1934 წ. № 24, მუხ. 192), რომლის მოქმედება განგრძობილია საქ.სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წლის 25 ივლისის დადგენილებით (საქ.სსრ კან. კრ. 1936 წ. № 20, მუხ. 119), შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებანი:

1. 28, 29, 30 და 33 მუხლები მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

„მუხ. 28. ვადაზე შეუტანელი სადაზღვევო გადასახადი გადაირიცხება ნარჩენად და გადაიხდევინება იმ წესით, რაც დადგენილია საქ. სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1937 წ. 10 აგვისტოს დადგენილებით „სახელმწიფო და ადგილობრივ გადასახდელთა, სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის, სავალდებულო ნატურალურ ჩაბარებათა და კოლმეურნეობებსა, სარეწაო არტელებსა და ცალკეულ მოქალაქეებზე დადებულ ჯარიმათა გამო ნარჩენების დასაფარავად ქონების ადმინისტრაციული წესით ჩამორთმევის გაუქმების და სასამართლო წესის დადგენის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1937 წ. № 14, მუხ. 103). ნარჩენზე დაირიცხება საურავი შემდეგი რაოდენობით: თითოეული ვადა გადაცილებული დღისათვის კოლექტიურ მეურნეობებს 0,05% და კოლმეურნეებს და ერთპიროვნულ შრომითს მეურნეობებს 0,1% ვადაზე შეუტანელი სადაზღვევო გადასახადისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მუხ. 29. პასუხისმგებლობა, სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის ობიექტების სწორი და დროული აღრიცხვისა, სადაზღვევო გადასახადის გამოანგარიშებისა, საგადასახადო უწყებების შედგენა-ჩაბარების და სადაზღვევო გადასახადის გადახდევინებისათვის ეკისრება საფინანსო და სადაზღვეო ორგანოებს“.

„მუხ. 30. დაზღვევის ორგანო ვალდებულია უზრუნველყოს ხვედრი სადაზღვევო საზღაურის სრულად და დროულად მიცემა დაზარალებულ მეურნეობებისათვის.

ადგილობრივი საფინანსო ორგანოების ხელმძღვანელები ვალდებულნი არიან სისტემატურად შეამოწმონ დაზღვევის ორგანოების და სარაიონო დამზღვევი კომისიების მუშაობა“

„მუხ. 31. საჩივარი სადაზღვევო გადასახადის გამოანგარიშების უსწორობაზე და აგრეთვე სარაიონო (ქალაქის) დამზღვევი ინსპექციის და სარაიონო დამზღვევ კომისიის უკანონო მოქმედებაზე, ზარალის ანაზღაურების საკითხში, შეიტანება და განხილულ უნდა იქნას იმ წესის დაცვით, რაც აღნიშნულია სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1937 წ. 29 აპრილის დადგენილებით (სსრკ კან. კრ. 1937 წ. № 30, მუხ. 125) დამტკიცებული „სოფელ ადგილებში სარაიონო საფინანსო განყოფილების დაზღვევის რაიინსპექციების მუშაობის შესახებ“ სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატის ინსტრუქციის 20, 21, 22 და 32 მუხლებში“.

„მუხ. 33. სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის შემოსული სადაზღვევო გადასახადის საერთო თანხიდან 15% გადაირიცხება ხანძრისა და ოთხფეხი საქონლის გაწყდომის წინააღმდეგ და წინასწარ თავიდან ასაცილებლად საჭირო ღონისძიებებისათვის“.

აღნიშნული ანარიცხები დაიხარჯება იმ წესით, რომელიც გათვალისწინებულია სსრკ ც.ა.კ-ის და ს.კ.ს-ოს 1936 წ. 27 სექტემბრის დადგენილებაში „ანარიცხების შესახებ ხანძრისა და ოთხფეხი საქონლის გაწყდომის წინააღმდეგ საბრძოლველად და წინასწარ თავიდან ასაცილებლად საჭირო ღონისძიებათათვის“ (სსრკ კან. კრ. 1936 წ. № 50, მუხ. 407).

2. მე-8 და 32 მუხლები გაუქმებულ იქნას.

3. მე-2 და მე-3 მუხლების 1-ლ დანართს დაემატოს შემდეგი: „ყაზბეგის რაიონიდან სოფლები არტმხო და ჯუტა“.

4. მე-6 მუხლის 1-ლ დანართს დაემატოს შენიშვნა შემდეგი შინაარსისა: „შენიშვნა სოფელ ამბროლაურში კერძო სექტორის შენობების სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევა გაუქმებულ იქნას“.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **ვ. ბუჯიაშვილი.**

1937 წ. სექტემბრის 1.
თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯანმრთელობის დაცვა

112. დადგენილება ს. კ. ს.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატთან საამშენებლო სამმართველოს ჩამოყალიბების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ნება დაერთოს საქ. სსრ ჯანსახკომს ჩამოაყალიბოს თავის შემადგენლობაში საამშენებლო სამმართველო, რომელსაც დაევალოს ტექნიკური მეთვალყურეობის განხორციელება და საქ. სსრ ჯანმრთელობის დაცვის მშენებლობათა მომარაგება საამშენებლო მასალებით.

2. წინადადება მიეცეს საქ. სსრ ჯანსახკომს ერთი დეკადის ვადაში დაამტკიცოს დებულება საქ. სსრ ჯანსახკომის საამშენებლო სამმართველოს შესახებ.

3. საქ. სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის საშტატო კომისიამ დაამტკიცოს ჯანსახკომის საამშენებლო სამმართველოს შტატი 1937 წლისათვის. ხარჯები ამ სამმართველოს აპარატის შესანახად გაღებულ იქნას იმ კაპიტალური მშენებლობის ღირებულების 1% ანარიცხების ანგარიშებიდან, რომელზედაც საამშენებლო სამმართველო ანხორციელებს ტექნიკურ მეთვალყურეობას.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ვ. ბუჯიაშვილი.**

1937 წ. სექტემბრის 1.
თბილისი.

სასამართლო წესრიგი და სამართლის წარმოება

113. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

„მოქალაქეთა პირადი უფლებების და ინტერესების შესახებ დოკუმენტების ასლების შემოწმების მოწესრიგების თაობაზე“ გამოცემულ სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს 1937 წლის 3 ივნისის დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

მოქალაქეთა პირადი უფლებების და ინტერესების შესახებ დოკუმენტების ასლების შემოწმების მოწესრიგების თაობაზე გამოცემულ სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1937 წლის 3 ივნისის დადგენილების შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1937 წ. № 37, მუხ. 149), საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

I.

საქართველოს სსრ სახელმწიფო ნოტარიატის დებულების მე-X თავში „დოკუმენტების ამონაწერის შემოწმების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1928 წ. № 16, მუხ. 157) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები:

1. დებულების 61 მუხლი მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

„მუხ. 61'. სანოტარო კონტორა და სანოტარო მაგიდა იღებენ ასლების სისწორის შესამოწმებლად სახელმწიფო დაწესებულება-საწარმოს, საზოგადო ორგანიზაციის და კერძო პირის მიერ გაცემულ ისეთ დოკუმენტებს, რომლებიც მოქალაქის უფლებებსა და ინტერესებს შეეხება, თუ კონტორას ან მაგიდას წარედგინება აღნიშნული დოკუმენტების დედანი, ეს დოკუმენტები არ ეწინააღმდეგება კანონს და მათ შეიძლება ჰქონდეს იურიდიული მნიშვნელობა“.

2. დაემატოს 61¹ და 63¹ მუხლები შემდეგი შინაარსისა.

„მუხ. 61¹. საკავშირო ან რესპუბლიკური მთავრობის დადგენილების, საერთო ორგანოს განაჩენის, სამეურნეო, კოოპერატიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციის დებულების ან წესების ცალკე ენაზე დაწერილი დოკუმენტის ასლების, აგრეთვე ყოველგვარი დოკუმენტის ასლის სისწორის შემოწმება ხდება მხოლოდ რესპუბლიკანურ სანოტარო კონტორაში.

შენიშვნა: დოკუმენტის ასლის სისწორის შემოწმება ხდება სსრ კავშირის იუსტსახკომის ინსტრუქციის საფუძველზე“.

„მუხ. 63¹. პასპორტის, საკ. კ. ბ. (ბ) დოკუმენტის, პროფკავშირული ორგანიზაციის საწევრო ბილეთის სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკის ორდენით ან სიგელით დაჯილდოვების დოკუმენტის, დამკვრელის სიგელის ან წიგნაკის, სადეპუტატო მანდატის, აგრეთვე სამხედრო ბილეთის ასლის სისწორის შემოწმება აკრძალულია.

II.

საქართველოს სსრ ც.ა.კ-ის და ს.კ.ს-ოს 1930 წლის თებერვლის 21-ის დადგენილებას „სასოფლო საბჭოების სანოტარო მოქმედების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ. № 7, მუხ. 64) დაემატოს მუხ. 2¹ შემდეგი შინაარსისა.

„მუხ. 2¹. სასოფლო საბჭო ამოწმებს მხოლოდ ისეთი დოკუმენტების ასლების სისწორეს, რაც მოქალაქის ქონებრივ და ოჯახურ მდგომარეობას (ქორწინების, დაბადების, სიკვდილის მოწმობა) შეეხება; ამოწმებს აგრეთვე მუშათა და გლეხთა წითელ არმიაში სამსახურის შესახებ ცნობის ასლს, შეღავათების მისაღებად, სამხედრო მაგიდების მიერ სამხედრო სამსახურისადმი დამოკიდებულების შესახებ გაცემული ცნობის ასლს, აგრეთვე მოქალაქეთა შესახებ კოლმეურნეობის და საერწოო არტელის დადგენილებების ამონაწერებს.

აღნიშნული დოკუმენტების ასლების სისწორეს სასოფლო საბჭო შეამოწმებს მხოლოდ იმ მოქალაქეთათვის, რომლებიც მუდამ ამ საბჭოს სამოქმედო ტერიტორიაზე ცხოვრობენ“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

И.ф 10/29

III.

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართალის საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლი (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. № 19, მუხ. 205) მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით.

„მუხ. 13. მხარეებს და საქმეში მონაწილეთ დაშვებულ მესამე პირებს და მათ წარმომადგენლებს, აგრეთვე პროკურატურას, შეუძლიათ გადაათვალიერონ დედანი საქმე, რა მდგომარეობაშიც უნდა იყოს ის, ამოიწერონ საჭირო ცნობები და მიიღონ საქმეში ჩართული ყველა ქაღალდისა და დოკუმენტის ასლი სათანადო შემთხვევაში დაწესებული გამოსაღების გადახდით და იმ წესის დაცვით, რაც გათვალისწინებულია სსრკ ც. ა. კ-ის და ს. კ. ს-ოს 1937 წ. ივნისის 3-ის დადგენილებაში „ისეთი დოკუმენტების ასლების შემოწმების მოწესრიგების შესახებ, რომლებიც მოქალაქის პირად უფლებებსა და ინტერესებს შეეხება“ (სსრკ კან. კრ. 1937 წ. № 37, მუხ. 149).

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ. ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივნის მ. ა. **გ. გოჩაშვილი.**

1937 წ. სექტემბრის 11.
თბილისი.

ეროვნული სახ. საქ. ბიბლიოთეკა 3 საჯარო ბიბლიოთეკა თბილისი

ფასი 20 კაპ.

გამოსცემელი საქ. სსრ ხ. კ. ხ-ოს / საქმ. მმართველობა 1937 წ. № 29. პ/მ. რედაქტორი ი. შელეგია

ქაღალდის ფორმატი 62×94 სმ; 3/4 ბეჭდვ. ფურც.; 1 ბეჭდვ. ფურც. 48.500 სტამბ. ნიშანი
გადაეცა სტამბას 5/X; ხელმოწერილია დასაბეჭდად 28/X; ტირაჟი 2.000.

მთავლ. რწმ. № Л-16978 საქ. სახ. კომ. საბჭოს საქმ. მმართ. სტამბა, თბილისი. № დაკვ. 1234

БИБЛИОТЕКА Академії Наук